

ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები

§ 1. ზოგადი ტერმინები.

რამდენადაც შენახული ძეგლებისა და მიხედვით მსჯელობას უფლება გვაქვს. საბუთების აღსანიშნავად შემდეგში ჩვეულებრივ მიღებული ტერმინი „სიგელი“ უძველეს ხანაში გავრცელებული აუყოფილა. იგი **მე-XI-ს** ითგან მოყოლებული იხმარება მეფეთა საბუთებში და უკვე ბაგრატ IV-ის 1058 წ. შიონღვიმისადმი ნაბოძეს საბუთში ნათქვამია: „აწ ვახუა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი“-ო. „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი“-ო. (შიონღვიმელ. ისტ. საბ. 4). ისტორიკოსს ჯუანშერსაც პოეზიება ესტუმრინი და აღნიშნული აქვს: „ერისთავნი ქართლისანი ვერ უკლან საერისთავოთაგან მათთა რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ქონდეს **სიგელნი მკდრობისანი**“-ო (უახუტანგისი *410, ქ. 192). რათგან ეს სიტყვა მე-XI-ეს ში როგორც მწერლობაში, ისევე საბუთებში ჩვეულებრივ ტერმინად იხმარება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ის იქნებ უფრო ადრეც იყოს შემოღებული. ამ მხრივ საყურადღებოა ბაგრატ მეფის ოპიზისადმი ნაბოძები საბუთი. სადაც მეფეს ნათქვამი აქვს, რომ მიჯნაძორელებმა „მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთა-ერისთავისაი, გურგენ მეფეთა-მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგრატ ერეკლედიცისაი და მამისა ჩემისაი“. ხოლო გურგენს მხრით „მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაი“. ამ საბუთების გახილვის დროს გამოჩვეულა, რომ „მიჯნაძორეთა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელი ოპიზართათვის დაუწერია, არა ესენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდავდებულად“-ო (სქესელი 112 პი. ამ ცნობაში საყურადღებოა, რომ ბაგრატ IV-ის განჩინების წიგნში ორჯერვე დაინიშნებით გუარამ მამფლის საბუთის სახელად „**დაწერილი**“-ა ნახმარი. გურგენ ეწეისა, გურგენ მეფეთა-მეფისა და სხვა მომდევნო მეფეების საბუთებისათვის-კი „სიგელი“. თუ გავიხსენებთ, რომ გუარამ მამფალი † 882 წ. (იხ. ქლიერის ისტ. 11. ბაგრატ). შათაშვი. შტოი. გურგენ ეწეი-კი, რომელიც-კი უნდა იყოს იგი, მათე საუკუნის მეორე მეოთხედის პოლვანე მფლობელი იყო შეიძლება ერთგვარ ქრო-

ნოლოგიურ საფუძვლად გამოეყენათ. თუ აქ ტერმინები **საბუთები** თვით დარბაზში გახილული საბუთებიოგან მომდინარეობს და შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშინ ირკვევა, რომ მე-IX-ე ს. ში საბუთებს ჯერ „სიგელი“ არ ერქმევიდათ, არამედ „დაწერილი“ და მხოლოდ მე-X-ე ს. ის მეორე მეოთხედით განუნდა იყოს ტერმინი „სიგელი“ ხმარებაში შემოსული.

მე-X-ე - იოგან მოუღებულად მე-XV ს-ის დამდეგამდე ხიგელი განსაკუთრებით მეფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა და, როგორც ქვეით გამოკვეთული იქნება, თვით კათალიკოზებიც კი და დიდებულნი თავიანთი საბუთების აღსანიშნავად ამ სიტყვას არა ხმარობდნენ სოლმე. ამგვარად ცხადი ხდება, რომ XI-XV ს. ში სიგელს მეფეთა საბუთების მნიშვნელობა ექონია.

იქნებ უკვე მე-XIV ს. იოგანაც, მაგრამ ამ საუკუნის საბუთების მეტისმეტად სიკრე რიცხოვნობის გამო ჯერ ეს არ ჩანდეს. მხოლოდ მე-XV ს. ის დამდეგიოგან კი სიგელი წინანდებურად მარტო მეფეთა ბოძებებს საბუთს აღაო ნიშნავს, არამედ ეგრძო პირთა საბუთების აღსანიშნავადაც იხმარებოდა. მაგ. ბიშპია ამირანოის ბარილელ-აბაზასძის სეცტიცხოელსათვის 1405 წ. შეწირულების წიგნი „სიგელად“ არის წოდებული (ისტ. საბ. III. 9). ამგვარადვე თავა ზვედგინიძეს 1433 წ. შეწირულებს წიგნსაც სიგელი ექვთან (ისტ. საბ. II. 6) და აშაირი მავალითების მრავლად შვიძლებს დასახელება (იხ. ისტ. საბ. II. 7, 9, 10, 11, 13, 15, 20 და ბევრჯან სხვაგანაც). მაშასადამე ირკვევა, რომ **სიგელი მე-XV ს. - ის დამდეგიოგან მოუღებულად** თავის პირვანდელ მნიშვნელობას მეფეთა ბოძებულ საბუთისაჲს ეკოგავეს და საბუთების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ხდება.

მე-XV ს. - ის ბეგლებში საბუთის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად **გუჯარი** - უ იხმარებოდა. ქლ საისტორიო მწეოლობაში ეს სიტყვა სუშმატ დავითისძესა და ჯუანშერსა აქვთ მოყვანილი ერთი და იმავე ამბავის აღწერილობაში.

ჯუანშერს სახელდობრ ნათქვამი აქვს, რომ როცა ბიხანტიელნი საქართველოგან იხიზნებოდნენ, „მაშინ ყოველნი ნათესავნი ბერძენთანი წარჩინებულნი ჰელვიდეს ქუყანათა შინა განძთა... მათ დაუტევს ქუყანა ესე (ე. ი. საქართველო) და დაფლნეს განძნი იგი მათნი... შეიტანნეს ყოელისა საგანძურისა გუჯარნი და რა გუჯარნი აღწერეს. ნათესავნი ივსნი და

ქუეყანა და დადეეს, რათა, ოდეს ჩეიღეს გუგუჩი, მათ გუგუჩითა მოიძინნეს ნათესაენი მშენი და თვთოეულად განუეონ განძი და ქუეყანა"-ო (სა ვახტანგ კრწხლისი *417 418. გვ. 199).

მეორეჯერ იმავე ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: „მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გეოგრაფი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით"-ო (იქვე *426. გვ. 206). ამ ორივე ადგილის მიხედვით გუგუჩი ეთგეარი ხალხისა და ქონების აღწერის დაეთარი გამოდის და არა სიგელის მსგავსი საბუთი, რა მნიშვნელობითაც ეს ტერმინი შემდეგში იხმარებოდა.

ეს ტერმინი მაქსიმე აღმსაოებლის ცნის ეფთჳმე მთიწმიდელის ქართულ თარგმანშიაც გვხვდება. იქ სწერია: „იხილა რაჲ ვითარმედ წყალებისა იგი ბადენი განუფიხებოდეს ყოველგან და სასათურო იგი ერათისა ბუნებისა მეტყუელთაჲ.. კვალად განახლდებოდა... გუგუჩისა დაწერეს და ეზოსა სოფთა წმინდისასა აღმართეს"-ო (ქ. ქუეყელი-ძე Keimena I. 63)... „გუგუჩისა მას ქრონისსა დაგიწერია შენცა სახელ და წამებაჲ შენი: წმინდამან მაქსიმე თქუა მე დაგიწერია" (იქვე 85). არც ამ ორ შემთხვევაში აქვს სიტყვა გუგუჩის სიგელის მსგავსი, იტრიდიდელი საბუთის მნიშვნელობა. ალამედ სარწმუნოების აღსაჩების შემცველ საბუთს ნიშნავს.

მაინც და მაინც საგულისხმოა, რომ მე-XI-ე ს. ის ქლ ძე ქლებში ეს ტერმინი ნახმარია საბეოძნეთისა და არა ქართული საბუთის აღსანიშნავად. თუთ ქლ საისტორიო მწერლობაში კი, როდესაც ცნობები საქლოს პოლიტიკურ ყოფილობებზე და წესწყობილებას ეხება, და ქლ საბუთებში მე XI ს. ითგან მოყოლებული მე-XV ს.-ის პირველ ნახევრის დასასრულამდის, ჯერ-ჯერობით მაინც, „გუგუჩი" არსადა გვხვდება.

თუ არ უცდებით, სიგელის მნიშვნელობით გუგუჩი აწ ცნობილ საბუთთა შორის პირველად გიორგი მეფის 1447 მ წ. მცხეთისადმი ნაბოძებ საბუთშია ნახმარი. მას აღნიშნული აქვს, რომ წინანდელ მეფეებს სეიტოცხოვლისათვის მამულები შეწირული სკონდათ და „სიგლებითა დაემტკიცეს", მაგრამ შემდეგში ეს სახეება მოითვისესო, ჩვენ ეს გამოვიძიეთ და მაშის ზეენის დაბრკოლებული „ახლად გუგუჩითა ამით დავაბტკიცეთ და ვათაბეგეთ და ვათავისუფლეთ"-ო (იქვე, 1). დაიწერა გუგუჩი ესე ზენი" მაღამ წელიწად-

საოქო, ეორდანიკა. ქცბი II. 250-60 და ს. კაკაბაძე, წყნელ-
საკათალიკოსო მამულების გუჯარი 1447-1448 წ. გიორგი IX-ის
მიერ ბოძებული გვ. 4, 6 და 81. შემდეგ კონსტანტინე მეფის 1489
წ. დამტკიცების წიგნში გვხვდება. იქ ნათქვამია: „პაპათა და მამათა
ჩუენთაგან გაჩენილისა დამტკიცება... ჯერუჲინეთ და... ახლად გუ-
ჯარითა ანით ჩუენსა დაუდტკიცეთ... დაიწერა მტკიცე ესე გუ-
ჯარი“-ო. ს. კაკაბაძე. „სიგელი 1511 ქართლის მეფე კონსტან-
ტინესი 1488 წ., ტფილ. 1913 წ., გვ. 5 და 7).

შემდეგ უკვე გუჯარი სიგელის მაგიერი მნი-
შვნელობით ხშირად იხმარება საბუთებში. კახთა მეფის
1511 წ. დამტკიცებისავე წიგნში სწერია: „ვითა სამართლად... პა-
პათა და მამათა ჩუენთაგან გაჩენილისა დამტკიცება. ეგრეთვე... ახ-
ლად გუჯარითა ანით ჩუენსა დაუდტკიცეთ... დაიწერა მტკიცე
ესე გუჯარი“-ო (ისტ. საბ. III. 45 და 46). ლუარსაბ მეფესაც
ტფილ. სიონისადმი 1552 წ. ნაბოძებ საბუთში ნათქვამი აქვს: „მო-
ვახშეუინეთ ძეულნი თქუენნი გუჯარნი და... ჩვენ ახლად განუა-
ხლეთ... დაიწერა მტკიცე... სიგელი ესე“-ო. (ისტ. საბ. II, 41
და 42).

საბა ორბელიანის განმარტებით სიგელსა და გუჯარს შო-
რის ის განსხვავება უნდა იყოს, რომ „მეფეთა მინიჭებულსა წერილსა

სიგელი“, ხოლო „აგარაკთა და სოფლებთა დამტკიცებისა წე-
რილსა გუჯარი“- ეწოდებაო (ლექს. „წერილი“-). მაგრამ ეს თვით სა-
ბუთებით არ მტკიცდება. რათგან არა ერთი მამულის წყალობისა და
დამტკიცების წიგნია. რომელსაც სიგელი ეწოდება და ხშირია, რო-
ცა სიგელი და გუჯარი ერთი შეიკრის მაგორ არის ხოლმე ნახმარი.
ორივე ტერმინი ერთსა და იმავე ხანაში გვხვდება და ხან ერთი სკარ-
ბოშს ხოლმე, ხან მეორე. მაგრამ საბოლოო ბატონობა განსაკუთრე-
ბით ურცე ერთმა ევრ მოიპოვა. 1579 წ. საბუთში ნათქვამია: „მცხე-
თის ძეულნი გუჯარნი და სიგელნი მოიხუნეს... რომელნიც პირ-
ველ ძეულთ კელწიფეთ... გაეოიგებინეს. გაესახლურნეს და შეე-
წირნეს“-ო (ისტ. საბ. II, 50).

სიგლისა და გუჯარის ერთნაირი მნიშვნელობა
იმ გარემოებითაც უხადად მტკიცდება, რომ მე-XVIII-ე
ს. ის დამდეგს ეს ორი სიტყვა შეადგენს და ერთ-
ტერმინად აქციეს: ერეკლე I-ის 1703 წ. ქვთაბევის მოხა-
ტრისადმი ბოძებულს ერთიან საბუთს „სიგელგუჯარი“ ეწოდება.
იქ საბუთდობრ ნათქვამია: „ესე შეწირულობისა და მკეიდრობისა
წიგნი და ნიშანი სიგელგუჯარი განგახლეთ და მოგახსენეთ“-ო

133. ბ. მოვიდეს წ-ს შ. ზენსა... და ევქოთა მწაქანა...
 ხელმწიფეთა... სიგელგუჯარი... განახლებას...
 ლეთ სიგელგუჯარი... თქვენისა მონასტრისა აღმწიქნებელთა...
 (გვ. 7-31). ...ვისაჲ ზენ შერე შეწარულთა ამათ სიგელთა ან
 აგარაკთა, ანუ სახელეოთა, ანუ ელეთა სიგელი და ნიშანი ქო-
 დეს, ზენ სიგელითა ამით განგეოცდებოა და მტკიცე ესეოდენ
 არს და თქვენცა ლეოისმასხურნო შეფენო... ესე სიგელგუჯარი
 დაამტკიცეთ... მტკიცე იქმნა ნებითა ლეოისათა სიგელგუჯარი
 ესე* ამადაამ წელსაო (ქეათახევის მონასტრის გუჯარი- (აიცი). მოამ-
 ბე 1903 წ. № IX გვ. 35).

ამგვარად ირკვევა, რომ მე X ს-იდან მოყოლებული „სიგელი“-
 ხოლო მე-XV ს-ის დასასრულიდან მოყოლებული „გუჯარი“-ც მე-
 თეთა ნაბოძები საბუთების საზოგადო სახელი იყო. ქერძო პირთა
 საბუთებს „დაწერილი“ ჰქვამებოდა. როგორც ეტყობა, მანდა-
 ტურთ-უხუცესი ჭიაბერი თავისი შიომღვიმის მონასტრისადმი მიძღუ-
 ხილი შეწირულობის წიგნის შესახებ აზბოშს: „ესე დაწერილი
 მე ჭიაბერსა მეუფეთ-მეთისა თამარის შიწასა მანდატურთ-უხუცესსა...
 შემიწირავს იგი ყაყ და დაწერილი დაამტკიცებია“-ო (შოიმღ.
 საბ. 23). თამარ მეფის-დროინდელი შიომღვიმის ეზობის ტოხაში-
 სადმი მოცემული სიმტკიცის წიგნის სახელად „დაწერილი“-ა ნახმა-
 რი: „ესე დაწერილი და სიმტკიცე დაგიწერეთ და მოგახსენეთ...
 აწ სრულა არს დაწერილი ესე ზენგან... და დაამტკიცებულნა
 უარს ამას დაწერილსა“-ო (იქვე 24). შიომღვიმის ეზობისაგან
 გრიგოლ მსახურთ-უხუცესისათვის საუკუნო სალოცავის განწესების
 წიგნშიც ნათქვამია: შიომღვიმელთ „დაწერილი ესე დაწე-
 რია“-ო (გვ. 6). „ესე დაწერილი ზენ მღუიმელთაგანვე მოსენე-
 ბული თქვენ გრიგოლ მსახურთ-უხუცესისათვის“-ო (ს. ყაყ. „სიგელი
 (აიცი) მსახურთ-უხუცესის გრიგოლ სურამელისა 1250 წ. შიომღვიმი-
 სათვის დაწერილი“. ტფილ. 1912 წ. გვ. 6 და 7. თ. ეორდ. ქცპა
 II. 127-128 და შოიმღ. საბ. გვ. 65). ასევე სხვა შოიმღ. მონას-
 ტრის ქერძო პირთა XIII-XIV-ს. საბუთებშიც (იხ. შოიმღ. საბ. გვ.
 61, 62, 63, 66 და 71). ესა ჯავახიშვილსა და ბექა მანდატურთ-
 უხუცესს შორის 1285-1303 წ. დადებული კეთილმოყვრობის წი-
 გნშიც ნათქვამია: იუ-ესე დაწერილი გაგოტელო... ესდაეს მო-
 მივიდესო (სწქს სძელნი II. 8).

თვით საქართველოს კათალიკოზების საბუთებ-
 საც სიგელი კი არ ეწოდებოდა, არამედ „დაწერი-
 ლი“. პელქისედეკ კათალიკოზს შავ. თავის 1020 წ. შეწირულობის

წიგნში ნათქვამი აქვს: „ესე დაწერილი მოუახსენებენ ყველგან ღიე სამოციქულო საყდარსა მცხეთისასა“ (ვე. 31). „ამოცხადებენ და ნათქვამი მოუახსენებენ... რომელთა ესე დაწერილი... ნახოთ თქვენს სიმტკიცე დასწერეთ... ბაგრატ აფხაზთა მეფე... ესე დაწერილი... კელითა თქვენითა დამიმტკიცეთ...“ (ქ. 11. 31 და 35).

მიქაელ კათალიკოზის მსახურთუხუცესის ვაჩე გუარამასძესადმი მიცემულ წყალობის წიგნშიც სწერია: „დაგიწერეთ და მოგვცით დაწერილი ესე ჩვენ... კათალიკოზმან მიქაელ“-ო (ს. კაკ. მე-XIII ათე. პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზები. ტფილ. 1913 წ. გვ. 51).

არსენი კათალიკოზიც თავის შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში ამბობს: „ეინც ეს დაწერილი და ვაგებულ წასა უდაბნოსა მღვიმისასა შეუცვალოს“-ო (შიომღ. საბ. 51).

თუ სიგელი მე-X ს. იოვან და გუჯარი მე-XV ს. ის პირველი ნახევრის დამლევითგან მღვთა მიერ ბოძებული საბუთების აღსანიშნავად იხმარებოდა და ასევე დროს „დაწერილი“ დანარჩენ პიოთა და დაწესებულებათაათვის შედგენილ საბუთს ერქვა, წიგნი ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო. ეს გარემოება თითქმის საბა ორბელიანსაც უგრძნია და ნათქვამი აქვს: „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა ჰრთელსა ეისიკა იყოს“-ო (ლეკა. „წერილი“-). მაგრამ სხვა მხრივ განმარტება ბუნდოვანია. როდესაც საუბარი სხვადასხვა გვარ საბუთებზე გვექნება, იქ მოგვანილი მაგალითები უხად-ყოფენ, რომ ყოველწიგნი და ეისგანაც არ უნდა იყოს მიცემული საბუთის საზოგადო სახელად „წიგნი“ იყო, რომელსაც შინაარსის მიხედვით მხოლოდ მისი თვისების აღნიშვნელი სახელიც ემატებოდა.

მათლაც უძველეს ქართულ ძეგლებში „წიგნი“ საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა. დამატებით ქართულ თარგმანში სწორედ ეს ტერმინია მიღებული. იერემიას ნავ. ნათქვამი აქვს „მოვიღე წიგნი მოგებისა და დაბეჭდული... და მივეც წიგნი მოგებისა ბარუქს“-ო (თ. 32, 1). რაც უდრის ბერძნულ „ἐλάβην τὸ βιβλίον τῆς ἐπιστροφῆς“ და ლათინურის „sumpsi libellum possessionis obsignatum... scripserant in libello possessionis“ მაშასადამე „ტო ბიბლიონ“-ის და libellum-ის გადმოსაცემად ძველად „წიგნი“ ყოფილა მიღებული.

საბუთის ერთი გვარის მნიშვნელობაა *ქეიმენა* (ქართულად აგრეთვე ტერმინი *„ხელთწერილი“*). გიორგი მთაწმიდის წმინდელს აღნიშნული აქვს, რომ იოანე და ეფთვიმე ათონის ქართველთა მონასტერს *„დაუსხნეს სიმტკიცენი და კელითწერილი და ოქრობეჭედნი ღმრთის სახურთა მეთეთანი“* (ქართულად ეფთხი 3). საუბარი აქ ბიზანტიის კეისრების საბუთებს ეხება უმთავრესად. *„ხელთწერილი“*-ის სახით ეს სიტყვა ეფთვიმე მთაწმიდელისაგან ქართულად ნათარგმნ მაქსიმე აღმსარებლის ცნობივ გვხვდება: *„არა სიტყვთ ბოლო შეემაჟენე, არაჲედ კელისწერილიცა დაეწერე შეჩუენებისაჲ“* (Keimena I. 73). ამ ორი მაგალითის მიხედვით შეიძლება აღადგინოთ ეფთხი, რომ ეს ტერმინი განსაკუთრებით უცხოეთის, ბიზანტიის, საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა. მაგრამ არსენი კათალიკოზის მე-XIII ს-ის დანდევის შიომღვიმისათვის მიცემული საბუთი ამტკიცებს, რომ საქართველოშიაც ყოფილა საბუთები. რომელთაც *„კელითწერილი“* ჰქმევია. იქ მოხსენებულია *„კელითწერილი სანატრელთა... წისა მამათმთავრისა მელქიზედეკისი“* (შიომღ. საბ. 51).

საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად *„ნიშანი“*ც იხმარებოდა. პირველად ეს სიტყვა ამ ეამად ცნობილ საბუთებში დაეით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი მიცემულ ანდერძში გვხვდება. იქ სახელდობო ნათქვამია: *„ტფილისს საამიდიოთ, ეითა სხვთაცა ნიშნითა სვსთ კელითა ჩემითა დანიწერია. ასი ღრამქანი მღდელთა და მგალობელთათჳს. წუენ დააქლებს მათ...“* (თ. გორდ. შიომღ. საბ. 17, ს. კაკ. 12). ცხადია ამით დიდებულ მეფეს ჰსურდა ეთქვა, სხვა ჩემივე ხელით დაწერილი სიგლით, საბუთით ვახსაზღერული მაქვს, თუ რამდენი უნდა მიეცეს მღდლებსა და მგალობლებს. მაგრამ თვით ეს საბუთი შენახული არ არის, ჩვენამდე მოღწეული საბუთთაგან-ი მე-XIV ს-ზე უწინარეს ჯერჯერობით არც ერთი *„ნიშანი“* აღ არ უწოდებს თავის თავს. ამიტომ ძველი საოქმელოა. დაეით აღმაშენებლის შემოხსენებული საბუთი თვითაც ნიშანად იწოდებოდა. თუ ჩვეულებებისაებრ სიგელად და დაეით აღმაშენებლის შემოპოყუანილი სიტყვა ამ ძეგლის საზოგადო. მბოლოდ ეთარკე საბუთის, სახელს წარმოადგენს.

მაინცდამაინც დამახასიათებელია. რომ მე-XIV ს-მდე არც ერთს შენახულ საბუთთაგანს ნიშანი არ ეწოდება. ჯერჯერობით პირველ საბუთად. რომელიც თავის თავს ნიშანს უწოდებს. გაუახიშვილი-გამრეკელისადმი 1345 წ. ნაბოძები წყალობი-

წიგნი უნდა წაიკითხოს. რომელშიაც ნათქვამია: „დაწერეს ეს წიგნი: ოქტომბერსა იმა პირდებმა და სიშანად 11. გომბეჯს ეს გინდა ჩემი პირდებმა და სიშანი ქონდეს...“ (ქს სსვლნი II. 10). შემდეგ ეს ტერმინი ნახმარია 1348 წ. ანდრონიკე პაგრატიონის სიგელში, სადაც სწერია: „და თუ ეს რაი ამა აღვილთა სიგელს და ანუ სიშანი ქონდეს. ყველივე სიგლითა ამით განიტყვებო“ (ქს II. 12). მაგრამ ამ ორსავე სიგელს ჯერ კიდევ კრიტიკული განხილვა ესაჭიროება.

მე-XV და შემდეგ საუკუნეებში „სიშანი“ უკვე იშუიარაღი სიტყვა და ტერმინი აღარ არის, მაგ. 1460 წ. საბუთში სწერია: „წოდოულასწვილისაგან ნაშვილებობისა სიგელი და სიშანი თქუენ გქონდა“ (ისტ. საბ. III. 35). 1505 წ. საბუთში ნათქვამია: „ვისაც ამა მამულისა გაყეშეულობისა სიშანი ქონდა. სიგლითა ამით გაგვიყუდებო“ (ისტ. საბ. III. 43).

„სიშანი“ სპარსული სიტყვაა ქან და სპარსულშიაც როგორც გასარჩევად მიღებულ საგანს. თუ ხაზს ჩ მოხაზულობას. ისევე საბუთსაც ეწოდებოდა.

„პიტაკი“ ეითარცა საბუთის აღმნიშვნელი ერთი ტერმინთაგანს სტეფანე მტბეუაროსადმი მიმართულს დამის წერილში გვხვდება: „გამოწიოთოვე მსაჯულისაგან პიტაკი განთავისუფლებისა და რათა განვერე ექათა მათ საშინელთა“ (ქქბი I. 101), ნათქვამია ამ წერილში. ამ გვარად „პიტაკი“ განთავისუფლებისა და ქ მასუბისმგებლობისაგან განთავისუფლების საბუთს ნიშნავს.

ეს ტერმინი გიორგი ხუცესმონაზონისავე აქვს ნახმარი გიორგი მთაწმიდელის ქს-ში და იქ ნათქვამია, რომ როდესაც დიდებული ქართველი მოღვაწე ბიზანტიის კეისარს უნდა საოხოვარიო წარსდგომოდა. ბეფის მოსელის მოლიდინში გიორგი მთაწმიდელსა და ეიბნე პეტრე ქს წიგნს პიტაკი წინაშე შეფის... რომელშიაც მისი საოხოვარიო ყოფილა აღნიშნული. კეისარი რომ მოახლოვდა. გიორგი მთაწმიდელმა მისკა პიტაკი თვსითა ეუღდა... მას ბოლოს უთქვამს მთხოვნელისათვის: „რამცა პიტაკსა ანას შინა სწერიოა...“ აგისრულებო (გვ. 335). ზემოთყვანილითგან ცხადადა ჩანს, რომ აქ „პიტაკი“ ოხოენის, მაჯანს მნიშვნელობით არის ნახმარი და რაოგან აქ და უფრო ხშირად მთხოვნელი სოფრების უფრო დაბალ საფეხურზე იდგა ვიდრე ის, ვისაც სთხოვდნ. ამიტომ უნდა იყოს, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „პიტაკი საეუდრებელი შინაწერი“ არისო. მეორეგან

ამავე ტერმინის* შესახებ სწერია: „უღარგისაგან უაღრესისაგან ქართ მანაწერსა პიტაკი“ ეწოდებაო (იხ. წერილის ქვეშე).

პიტაკი ბერძნული ტერმინია და წარმოადგენს ორი სიტყვისაგან, რაც საწერ თაბახს ნიშნავს. რამდენადაც დანი ბერძნული სკოლისა და განათლების კაცი არ ყოფილა. ინდენად შეიძლება და უნდა ვითიქოთ, რომ ეს სიტყვა მაშინ პარტო მწიგნობრული ტერმინი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ცხოვრებაში თუ არა, განათლებულ წრეებში. საუბარში შეიძლება მიღებული ყოფილიყო. მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი მტკიცე საფუძველი არა გვაქვს ვითიქროთ, რომ პიტაკი ქართული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა მე-XI-XIV სს ში. შენახულ საბუთთა შორის უძველესი, რომელიც თავის თავს პიტაკს ეწოდებს, 1408 წ. არის დაწერილი. იგი თუშქა სეფე-მწიგნობრის ხელით არის შედგენილი. მაგრამ მაინც მეფის სიგელი-კი არაა. არამედ კერძო პირისა. შოთელის, საწოლის მწიგნობრის დავით ცნოდის ძის მიტყულია. „დაწერა ჩემ მიერ გულმოდგინებით ნალუაწი სერიუ ესე პიტაკი“. ნათქვამია იქ, ამა და ამ დროს სეფე-მწიგნობრის დემეტრე მარკოზაშვილის ხელითაო (ისტ. საბ. III, 7).

დამახასიათებელია, რომ თვით იგივე დემეტრე მარკოზაშვილი აღექვანდრე მეფის საბუთებს არას დროს პიტაკი არ ეწოდებს და მხოლოდ ქარის მწიგნობარი იათორიძე ვიოლე მეფის 1463 წ. ხელწარია. ეხა და ხაზა ჯაყახისშვილებისათვის ნაბოძებს წყალობის წიგნს პიტაკს ეძახის: „დაიწერა პიტაკი ესე... კელითა ქარისა ჩუენისა მწიგნობრისა იათორისძისა ეარსივესითა“-ო (სქს სძე'ნი II, 19). მეორე საბუთი, რომელშიაც ეს ტერმინია ნახმარი, 1466 წ. ეკუთვნის და კოსტანტინე მეფის სახელით მდივან-მწიგნობრის ზაქარია თუმანიშვილის ხელით ამავე ჯაყახისშვილებისათვის არის ნაბოძები: „დაიწერა მტკიცე პიტაკი ესე“-ო (იქვე II, 21).

ცხადია, რომ ამ ორსავე შემთხვევაში საბა ორბელიანის ზემოწოდებით განმარტება არ გამოდგება და აქ პიტაკს საბუთის, სიგელის, მნიშვნელობა აქვს. საზოგადოდ-კი უნდა ითქვას, რომ პიტაკი ქართულ სამდივან-მწიგნობრის ენასა და ტერმინოლოგიაში იშვიათი სიტუმარია და გაშინაურება მას მაინც და მაინც არ ეტყობა.

* აღიანთ კორექტორული შეკითხვა უნდა იყოს, რომ იქ „პიტაკი“-ა და ბეჭდილი.

ახალ ქართულ სამწერლობო ენაში ჩვეულებრივად და აუცილებელ ტერმინად ქცეული „საბუთი“ მე-XVIII ს. მდე. თუ არ ეყუთებით. არ იხმარებოდა. საბა ო. რ. ბელიანს თავის ლექსიკონში ეს სიტყვა არც-კი მოეპოვება. მაგრამ 1781 წ. ნათლისმცემლის მონასტრის, სიგელში, რომელიც აღმ. საქ. სასამართლოს განაჩენს შეიცავს. ეს ტერმინი ნახშირია იმ მნიშვნელობით, როგორც ეხლა გვეხმის. მსაჯულთ იქ ნათქვამი აქვთ, რომ მოშივარნი „ვალაპარაკეთ და ამათი საბუთები გაეშინჯეთ“-ო (ისტ. საბ. V, 98). ამავე მონასტრის მამულის გამო ამტკიცარი საჩივრის შესახებ 1782 წ. დაწერილს სასამართლოს გარდაწყვეტილების წიგნში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ „თუ გოგობდა შეილებს მონასტრის ნასყიდობის სიგელს უკან გაეახი შეილებსაგან კვიროსში მამულები უყიდნიათ რამე და სარწმუნოს წიგნით და საბუთით დაამტკიცებენ. იმის ქასები გაეახი შეილებსა თაყიანთის წილიდამ უნდა გასცენ“-ო (ისტ. საბ. V, 103). ამავე მონასტრის 1790 წ. კიდევ ქონია საჩივარი და ამის შესახებ დადგენილებაშიც სწერია: „უძლიერესი საბუთი ეს უფროა. რომ ქალაქის დაუთარი ვნახეთ და ასე ეწერა ნათლისმცემლის მონასტრის ყმა სეიმონ მესხაშვილს, ამან უფრო დაამტკიცა“-ო (ისტ. საბ. V, 109).

საბუთი, როგორც მისი ქალ მწერლობაში ასე გვიან შემოსულობისა და უთვისტომობისა გამო საფიქრებელი იყო. ქართული სიტყვა არ არის. არამედ არაბული **سبوت** „საბუთ“-ისაგან შეიძლება იყოს წარმომდგარი. არაბულად ეს სიტყვა წიგნში. დაუთარში შეტანილს. ოქმის შედგენას, ოქმსა ქნიშნავს.

ქართულად მიღებული იყო ტერმინად აგრეთვე „**ოქრობეჭედი**“. რომელიც ბიზანტიის კეისართა ოქროს ბეჭდიანი სიგელების სახელად იხმარებოდა. გიორგი მთაწმიდელის ცნის სიტყვით დიდებულმა ქართველმა მოღვაწემ „გადასწვდა რათა მედიმოსენი პრასტინთა ჩუენთა ვერ შემოვიდნენ. არამედ რათა გარე-გარე, სეკრეტონსავე მიეცემოდის ოქროსაგან ჩუენისა ლიტრა ერთი დიბოსად, ვითარცა თვთ განაწესა... მუჟუმან კონსტანტი მონამახჰან და ამას ზედა ოქრობეჭედი შექმნა მტკიცე და უჭკველი... ესე ლიტრა ერთი... (არსენიმ) შემოსწირა და ოქრობეჭედსა შინა დაეწერა“-ო (საველ. მუხ. გამ. ათონის კრებ. 302-303). ქართული ტერმინი „ოქრობეჭედი“ უდრის და პირდაპირი თარგმანია ბერძნული ტერმინის **χρυσόσφραγος**; „ხრვხოფულოს“-ისა. არც ქართველ მეფეთა სიგელებშია ტერმინად ოქრობეჭედი ნახ.

მარი, არც სხვა წყაროებში მოიპოვება ცნობა, რომ ქართულში ფეთა რომელიმე სიგელი ოქრობეჭდვად ყოფილიყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი, თუ განსაკუთრებით არა, უმეტესად მაინც ბიზანტიის ქვისრეზის ხრჭოვულობის აღსანიშნავად უნდა ყოფილიყო მიღებული.

მონღოლთა ბატონობის დროს ქართულ მწერლობაში სიტყვა „იარღაუი“ ანუ „იარღუი“-ს შემოვიდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, განსაკუთრებით მონღოლთა ყაენების წყალობის წიგნების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა და ქართული დიპლომატიისათვის მნიშვნელობა არ ჰქონია. ეს ტერმინი ეამთააღმწერელის თხზულებაში გვხვდება ორჯერ იქ, სადაც საუბარია ამაზე, თუ საქართველოს ეკლესიას საქეთმპყრობელმა როგორ მოახერხა სამშობლოს ეკლესია-მონასტრებისათვის უპირატესობის გამოთხოვა. ის ამბობს: ულო ყაენთან ნიკოლოზ კათალიკოსს „დაუწერეს იარღუი, რომელ არს ბრძანება (ბაზა)“... „მოცეს (ი)არღაუი შეწყალებიან“ (ეამთააღ. *806,807, გვ. 648,749). სტეფანოს ორბელიანსაც აქვს ეს ტერმინი მოხსენებული და განმარტებული იმგვარად, როგორც ხემოდასახელებულ ქართულ ისტორიკოსს აქვს ახსნილი. „ზრახს ხაიჩხი არ ზნაძანს, ვარ ძეგ აჩყს ღიჯმე“ (შახაძანს იქრჩხიანს. წიგნი. ტფილ. 1911 წ. გვ. 411) - უწერენ იარღებს. რომელ არს ბრძანება, რომელსა ჩვენ სიგელად სახელესდებთ“-ო.

ორივე განმარტება ნიშანდობლივია. საბა ორბელიანს თუმცა ნათქვამი აქვს, რომ „მეფისაგან კელქუშეთთა მიმართ მიწაწერსა იერღაუი“ ქქიანო (ლექსიკ. „წერილის“ ქვეზე), და თითქოს გვაფიქრებინებს, ვითომც ეს ჩვეულებრივი და ქართულ მეფეთა წყალობის წიგნი ყოფილიყოს, „იერღაუი მეფეთაგან შეწყნარების უსტარი“-ო (ლექსიკ.), მაგრამ იარღუი, ან იარღაუი მონღოლური სიტყვა და ტერმინი ჯერ „იარღილ“-ია.

მე-XVII XVIII ს. ს ში შემოდის აგრეთვე „ჩაუაში“. იესე ტლაშაძეს „კათალიკოზ-მაქარიანში“ აქვს: ხეანთქარმა „მაბული სრულად მიბოძა, რაყამი მომცა ფიცისა. მაშინვე დააწერინა, დაბეჭდა, დაამტკიცისა“ (ე. თაყ. გამ. 48, § 309). თუ ამ შემთხვევაში რაყამი ოსმალეთის სულტანის წყალობისა, თუ ფიცის წიგნს და სიგელსა ჰქვიან, იესე ოსესშვილის თავგადასავალი ცხადყოფს, რომ ეს ტერმინი თვით ქართულ საბუთებში-

სათვისდაც უხშირიათ მე-XVII ს. ის მეოთხე ნახევარში
მაინც. მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „მეფეს ერეკლე
ბრძანება და რაყამი ასეა ბრძანებული“-ო (ს. კ. ა. გ. 58, 1 მ.
რაყმ, რაყამი არაბული სიტყვაა და წერილს. ნაწერს.
დამწერლობას. ხაზსა და რიცხვის-ნიშანს აღნიშ.
ნაეს.

შინაარსისდა მიხედვით, იმისდაგარდა, თუ რა იეროდული
თუ სხვაგვარი დანიშნულება ჰქონდა თვითმუღ მოგანს. საბუთებს
მასაფერისი სახელები ჰქონდათ ხოლმე. საბუთების ამ სპეციფიკი
ტერმინების განხილვა იმნაირად არის ქვემოთ დაღაგებული, რომ
გერ სახელმწიფო სამართლისა და სახელმწიფო დაწესებულების მო-
ქმედებასთან დაკავშირებული საბუთების ტერმინები იქმნება ვანძარ-
ბული. შემდეგ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საბუთების
აღმნიშვნელი სახელები და სულ ბოლოს ადამიანი ურთიერთობაში
მყოფი პიროვნებისათვის არსებული სახელებია მოყვანილ-
სხილი.

§ 2. სახელმწიფო სამართლის სახელები.

მეფის მიერ თუ მისი სახელით დაწერილ სა-
ბუთს. ან წერილს „წიგნი სამეფო“- ან „წიგნი მეფისა“-
ერქვია. გიორგი მთაწმიდელს მაგ. ნათქვამი აქვს. რომ ბი-
ზანტიის დედოფალმა და მისმა ხელისუფლებმა მოიქცულა „წიგნი-
ბითა სამეფო“-ო (ლავრ. წარმოადგინეს“-ო (ქ. მ. ი. ე. და
ქ. მ. ი. 9, 1) ხოლო როდესაც დავით კურაპალატთანაც გაგზავნეს კი.
„კურაპალატთან... წიგნები მეფეთაჲ მიითუალა“-ო (ქ. მ. 11).

განკარგულების შემცველი საბუთის აღმნიშ-
ვნელ ტერმინად „ბრძანება“- იყო. გიორგი მეფის სიგელი მაგ.
ასე იწყება: „სახელითა ღთისითა ესე ბრძანებაჲ ჩემი არს გიორ-
გი ბაგრატიონისა“-ო (შიომღ. საბ: 13. ს. კ. ა. შიომღ. 3 სიგ.
11. მეფის განკარგულებას „სამეფო ბრძანებაჲ“ (გ. ი. ხუცეს მონაზო-
ნი. ქ. ა. გ. მთწისა 308) ეწოდებოდა მოხელეთა ბრძანებისაგან გა-
სარჩევად.

შემდეგში მე-XVII-XVIII ს. ს. მეფის ბრძანების აღმნიშვნელ
ტერმინად „ბატონის წიგნი“-ს იხმარებოდა. ეახტანგ VI-ის დას-
ტურლამალში მაგ. ნათქვამია: „ბატონის წიგნით“- სტუმრისა
და მღვდურის დაყენება“-ო (პ. უმრ. 26).

ძველი მე-XI-XIII სს ის მეფეთა სიგელები. ყველაწმინდობის წიგნები. რომელნიც ცნობილი არიან ერთსადაიმაცხე-დამცხე. სიგელადაც და ბრძანებადაც ითვლებოდნენ და ყველგან ნათქვამია: -დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი-ო. მაგამაქამ ტერმინს თავის საკუთარი მნიშვნელობა არა აქვს და დიპლომატიკაში ნამდვილ ბრძანებად. ბრძანების წიგნად და საბუთად შეიძლება მხოლოდ ხელკეცებითი მოხელეებისა, ან დაწესებულებისადმი განკარგულების შემკული წერილობითი ძეგლი ჩათვალოს. რომელნიც XVII-XVIII სს ში ან ასე იწყებოდა ხოლმე: -ჩუენი ბრძანება არის, აბაშო-, ან სხვა სახელი იმ მოხელისა. ეისადმიც იგი მიმართული იყო (1695-1703 წ. ნაზარალიხანის ბრძანება. ს.ქს სტენი II, 113), ან ასე: -ჩუენ მაგიერად შატერაშვილს პაატას და შანაშვილს თინათს ასრე უამბევთ-ო (1659-81 წ. მარამ დედოფ. ბრძანება. ს.ქს სტენი III, 53). თუ არ ვცდები, მე-XI-XVI სს ის არც ერთი საკუთრივი ბრძანება ჯერ გამოცემული არ ყოფილა.

მოხელეთა თანამდებობაზე დანიშენისა და განწესების დროს. ან წარუდგენილობისა, თუ მოქალაქის დროს მეფე არჩეულ პირს შესთქერის სიგელს აძლევდა ხოლმე. ასეთ სიგელს თუმცა შეწყალების, ან წყალობის წიგნის თვისებები ჰქონდა. მაგრამ ამგვარი საბუთებისაგან იმით განსხვავდებოდა. რომ შიგ მოხელის უფლება-მოვალეობა და სარგოს რაოდენობა იყო ხოლმე აღნიშნული. ან ნათქვამი იყო. რომ ეს თანამდებობა ამ პირს ჩვეულებრივი წესით ეძლეოდა. მე-XI-XV სს ითგან ამგვარი საბუთები ჯერ აღმოჩენილი არ არის. შემდეგ-თ, რაც უფრო და უფრო ჩვენს დროს უკაბლოვდებით. ამნაირი ძეგლების რიცხვი მრავლდება. რათგან ამ სიგელებს მხოლოდ იმ პირისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. რომელსაც თანამდებობა ენიჭებოდა. და თანაც მარტო მის სოცოხლის დროს. შთამომავლობა ასეთ საბუთებს სხვებსაერთ არ გაუფრთხილდებოდა. ამიტომ უცვლელია ძველი ხანითგან ამგვარი სიგელები მომავალშიაც ძველი მოსალოდნელია ბლომად. ან საზოგადოდ თითო-ოროდის მეტი რომ აღმოჩენილი იქნენ. ძველი საბუთების უქონლობის გამო, რა ეწოდებოდა ამნაირ სიგელებს XI-XV სს ში. არა ჩანს. თუმცა შემდეგშიაც თვით ასეთ შინაარსის საბუთებშიც იშორად ნათი ნიშანდობლივი სახელი აღნიშნული არ არის. მაგრამ ეახტანგ VI-ის დასტურდამალითგან ამ საკითხის გამორკვევა შეიძლება. სახელოვან ქართველ კანონმდებელს ერთგან ნათქვამი აქვს: -გორილამ ამილა-ბიძემამლეული I

ხორის ჯარიმა საკმაოდ თავისუფალად ან სხვა რამდენიმე
არის იმისი გარიგების წიგნში უნერია. გოლიდამ სამდივანბე-
გო და საიასაულო ოგორუკ ერგების, მდივანბეგის გარიგე-
ბის წიგნში სწერია: -ო.პ. უმიკ. 20). მაშასადამე იმ საბუთს,
რომელშიაც დანიშნული მოხელის უფლება-მოვალე-
ობა ყოფილა განსაზღვრული, **„გარიგების წიგნი“** პრქმე-
ვია ებტანგ VI-ის დროს. საერთო დებულების გარდა თეოთოეული
თანამდებობის პირისათვის გაწესების დროს ცალკე, მხოლოდ მის-
თვის განკუთვნილი. პირადი - გარიგების წიგნი - იწერებოდა,
ოგორუკ არის მაგ. „მდივანბეგის გარიგებისათვის“, რომელიც ორბე-
ლიშვილს ებტანგის შვილს ერასტის ებომა 1704 წ. მის მდივანბე-
გად დანიშვნის დროს და სხვა (იხ. დასტურდამალი, პ. უმიკ.
56-58, იხ. აგრეთვე გვ. 16). ამის გამო არსებობდა ამირახორის
გარიგების წიგნი, მდივანბეგის გარიგების წიგნი და პრაქტიკული სხვა.

საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი უნდა ყოფილიყო მიღებული
აზგვარი სიგელებისათვის მე-XI XV სს შიაც, მაგრამ იმდროინდე-
ლი საბოთა და მართლწერით **„განრიგების წიგნი“** ერქმოდა
და ეხლაც სამეცნიერო მწერლობაში ასე უნდა ვუ-
წოდოთ.

ოგორუკ სხვა დარგშიაც, აქაც მეXVII ს-ში ქართული
ტერმინი სპარსულთა შეიცვალა. გარიგების წიგნის
მაგიერ **„დასტურდამალი“**, ან მოკლედ **„დასტურდამა“** შე-
მოვიდა. ერასტი ორბელიშვილისათვის ნაბოძებს მდივანბეგობის
განრიგების წიგნშიც სხვათა შორის გვხვდება ეს უცხო ტერმინი და
იქ ნათქვამია: -ესე...მდივანბეგობის წესი და ოვი დასტურდამა
კიბოძეთ-ო.პ. უმიკ. გვ. 56). დასტურდამალი სპარსუ-
ლი სიტყვაა دستورالعمل და რეგლამენტს, განრიგებას,
სამდივნო წიგნსა პნიშნავს.

არსებული უფლებრივი დამოკიდებულებებით გან-
განთავისუფლების ილმნუსხველს საბუთს **„გაცხადი“**
ყოქვა. ეფრემ მცირეს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ როცა თეო-
თოლაკე ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს ეკლესიას დამოუკი-
დებლობისა და თეოთმწყობის უფლება მიანიჭა. „მისცა ქარ-
თელთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გაეცხადი, რათა თვთ-
მათისა საზღუროისა ებისკოპოსთაგან კლნი დაესხმოდონ ეამადგამადსა
კათალიკონსა ქართლოსასა“ (უწყებისათვის, ქცბი 1, 76). დავით მეფის
1355 წ. სიგელში სწერია: **„დაიწერა ბრძანებაი და გაეცხადი
ესე ჩუენი“** (ქცბი II, 185).

გაცხადის გარდა „აქნათი“-ს გვხვდება ტერმინები: მცხეთის 1399 წ. ერთს სიგელში მაგ. სწერია: „ესე აქსნათის ქარტი ნიშნად მოგუცსენებია“-ო (ქქები II, 204).

თუმცა წყალობა და შეწყობა იმ თავისთვე ძრავალი საბუთების შინაარსი იყო ხოლმე. მაგრამ თვით სიგელი რომ თავის ამგვარ თვისებას სახელითაც ამჟღავნებდეს, ეს უძველეს ხანაში იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო მე-XV XVI სს -ითგან-კი არა ერთხელ გვხვდება. მაგ. 1546 წ. საბუთში ნათქვამია: „ესე... წყალობისა წიგნი, ნიშანი და სიგელი გიბოძეთ“-ო (ისტ. საბ. III, 61). ან კიდევ: მე „ქართლისა კათალიკოზმა... ედემოხმოგეც ესე წიგნი წყალობისა... დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე“-ო (1634 წ., ისტ. საბ. IV, 20-21).

საბუთის, რომელშიაც ერთი პირი მეორეს რამეს აძლევდა. „მიცემულობის წიგნი“ პრქმევია: „თუ ვის რა ამისისა მიცემულობისა წიგნი დანიშანი ქონდეს, იგი ყოველივე დაწერილითა ამით გაგუცდებია“-ო (1442 წ. სიგ., ისტ. საბ. III, 25). ზემომოყვანილი ტერმინის გარდა „გაცემულობისა წიგნი“, ან ნიშანაც გვხვდება, მაგ. „ვისცა ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი ქონდეს, სიგლითა ამით გაგუცდებია“-ო (1505 წ., ისტ. საბ. III, 43).

სტ. ორბელიანის სიტყვებითა მტკიცდება, რომ უკვე მე-XIII ს. ში, თუ ამაზე ადრე არა, ზემოსაველის აღწერის წიგნებს საქათველოში „დავთარი“ პრქმევია. მას აღნიშნული აქვს, რომ როდესაც სუმბატ ორბელიანმა სომეხთა ეკლესიის გადასახადებისაგან განთავისუფლება იყისრა, ამისათვის მან აზოაზლევინა ეს დაწესებულება საქართველოს ყველა დაეთრებიოგან („ქართული ფაქტობრივი ჟღერ“, წითქმ. 411). მაგრამ ამდროინდელი დაეთრები შენახული ან ნაპოვნი არ არის. ჯერ-ჯერობით უძველესი ძეგლი, რომელც თავის თავს ამ სახელს უწოდებს, 1578 წ. არის შედგენილი და ასეთი სათაური აქვს: „დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“ (იხ. ე. თაყაიშვილის გამ., ძველი საქართველო და უკვე წიგნად 1915 წ.). მე-XVII ს. ის დაწდება მაღაქია ამბობდა: „როდესაც საშინელისა ძულისაგან... ციოშის ეკლესია დაიქცა, მაშინ ყოველივე ეკლესიის სამკაული... ხატები თუ ჯვარი, დაეთრები და ძრავალი რამ ეკლესიის სამსახურებელი ძირს მოეშწყუდა და წარკდა“. ამოღების შემდგომ გამორკვეულა, რომ „დაეთრები განიყუნილ იყო“ (იხ. ს. კაკ. საყაიშ. გამოს. დავთარი 1913 წ., გვ. 41).

ვახტანგ მეფის დასტურდამალითგან ეცით. ^{ქართული} შემოსაულისა-ჲ არა. ამაჲდ ხალხის აღწერისა წიგნისა-^{წიგნისა} დავეთარი ეწოდებოდა. ხალხის აღწერის წესიგის დებულე-^{წესიგის} ბაში ნათქვამია: „ლოდესაჲ ქართლი... აღწერების... სარდარი წავა-^{წავა} ერთი მდივანი წავა. აღსწერს და დავეთარს დაიქერს“-ო (დასტურ. 13). მაოთლას მეწინავე დროშის 1721 წ. ხალხის აღწე-^{აღწე} რის წიგნის შესავალში ნათქვამია: ვახტანგ მეფემ ბრძანა აღწერა თვითოულად. ხოლო აღწერა მეწინავე დროშის საბარათაშვილოსა და სომხითისა უბრძანა ძესა თვსსა ბატონიშვილსა სარდალს ვა-^{ვა} ხუშტის და თანხლება ჩვენ... მდივან-შწიგნობრის თუბანიშვილის გი-^{გი} ვისა...და...აღწერეთ ამ დავეთართა შინა. რომელთა ძალე-^{ძალე} დეა აბჯართა და ცხენთა ემარებაანი. გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოდებანი (ე. თაყ. გამ. მასალანი საქაო-^{საქაო} ევლის სტატისტიკურის აღწერილობისა. 1907 წ., გვ. 3).

სამხედრო ბეგრის მოხდისა და მორიგე ლაშქ-^{ლაშქ} რის შემადგენლობის აღმნუსხეელ წიგნს თუ სიასაც -დავეთარი- ეწოდებოდა. ერეკლე მეფის 1774 წ. მორიგე ლაშ-^{ლაშ} ქრის გარიგებაში მაგ. სწერია: „რაც თავადნი და ან მოხელე ან არ მოხელე, ან ახნაური მოხელე ან არ მოხელე, გლეხნი... რამდენ-^{რამდენ} ნიჲ რომ იყენენ ერთს სახლსა და ოჯახში თვითოსა-^{თვითოსა} თვის მორიგეობაში ჩაგვიგდია და დაგვიწერია და სხვას დავეთარი გაგვიჩეუა“ (სქნ სტუდნი I. 188).

ცალკე და სათითაო. პატარა დაუთრებს გაოდა შეიძლება -დადა ხაერთი დავეთარი-ც ყოფილიყო იმავე შემოსასახელებულ წყაროში ნათქვამია: „ყოველი კაცი თორმეტს თეზედ გაგვიყუა და როგორადაც გაგვიყუა ერთი დიდი საერთო დავეთარი ჩვენის მოკელეებისათვის მიგვიბარებია და თვითო დავეთარი უზმაშებისათვის მიგვიყუა და სხვა სოფელ-სოფელ მემატონე-^{მემატონე}ებისათვის და მოკელეებისათვის მიგვიყუა“-ო (სქნ სტუდნი I. 188 § 1).

-დავეთარი- ამას გარდა ყოველგვარი ანგარიშის წი-^{წი} ვნსაც ერქვა. იესე ტლაშაძეს „კათალიკოს-ბატარიან“-ში ნათქვამი აქვს: „ქართულთა დასტურს თავები თუშთა, კახთა და თათრისა, მოართვეს ვახტანგს. შეიქმნა მდივანისგან წერა დავეთრისა“ (ე. თაყ. გამ. 9, § 38). იესე ოსეშვილიც ამბობს თავის თავგადასავალში: „ეს ორი ქესა თეთრი თავს დაედუა. ისაოცებლა და მამაჩემს ას სამოცდა შეიდი თუბანი... თავისი გაუვიდა. რომ თავისი დაწერილი დავეთარი ^{დაწერილი} დავეთარად აცხადებს“-ო

-დავთარი- ქართულში მონღოლთა პატარა მონღოლთა დროს შემოდის და თუმცა იგი ჩამომავლობით შესაძლებელია არც მონღოლური და არც სპარსული არ იყოს და ტყუილს. ეტრატის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინი -დიფთერას- გან იყოს წარმოდგარი, მაგრამ **دافتر** -დაფთარი- იმ მნიშვნელობით, როგორც ქართულში შემოვიდა, სწორეთ მონღოლთა სახელმწიფოში იხმარებოდა და იქითგანვე უნდა იყოს შემოიხმნული.

მე-XIII ს. მეორე ნახევართგან გვხვდება ტერმინი **ბარათი**-ც. პირველად ეს ტერმინი ბეგა სურამელის შვილის მიქელის ცალსაგან 1299 წ. ახლო ხანებში შედგენილ შეწირულების წიგნში გვხვდება. სადაც შემდეგია ნათქვამი: „მოუახსენე... (სოფელი) ნოსტე... შეუვალად სურამელთა და მათთა ჩამომავალთგან, ვითა არაი ვის საქმე სდებია... გამოვიღე ბარათის ყუელაი-საგან: არაი ბარათი შევიდოდეს სურამელთა სახლისაგან და არც მათთა კელოსანთაგან, არცა თუთაბას ბარათი, არცა მათის სახლისა უღუფეს ბარათი“-ო (ქეპი II 170). ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ბარათი იმ პატარა მიწერილობას ჰქმნევია, რომელშიაც ხელისუფალი მოხელე, თუ მეზატონე მისი კუთვნილი გადასახადის გამოგზავნილ კაცისათვის ჩაბარებას სთხოვდა ხოლმე.

ბარათიც ქართული არ არის. არამედ თურქულია **براق** მე-XIII XIV ს. სპარსულ მწერლობაში ფულისა და ვადასახადის აღების უფლების მოცემის შესახებ საბუთს, ერთგვარს ასიგნობას. ასიგნობის საბუთს ეწოდებოდა (პროფ. ბარტოლოდის *Персидская надпись на стене Аниискон мечети Мануче, 26, შენ. 1*).

საბუთების ერთ ჯგუფს **ხიმტკაცის წიგნი** ანუ **ხიმტკაცე** ჰქვია. ათონის ქართველთა მონასტრის ერთს მე-XII ს. აღაპში მავ. სწერია: „აიღო წიგნი ხიმტკაციხაჲ, რომელსა ჰქვიათ დიადნოსი აღმწერელისაჲ“ (ათონის ქრებ. 270). გიორგი მთაწმიდელის სიტყვით: იოანემა და ეფთჳემ ჰოტაიტის მონასტერს -დაფის-ნეს სიმტკიცენი და კლთ წერობნი და რქობეჳედნი ღპრთის მსახურთა მეფეთანი“-ო (ქეპი II 170 და ეფთსი 3). -ესე დაწვრილი და სიმტკიცე დაგიწერეთ... მღვმისა ღაჳრისა ქრებულმან... თქვენ ტობაჲეს“-ო (XII ს. სოგ., შიომღ. საბ. 24).

წასვლის ნებართვის მომცემ მოწმობას **განსაცემი წიგნი** ჰქმნევია მე-VI მსოფლიო ქრების სჯულის კანონის ეფთჳმე მთაწმიდელის ქართულ თარგმანში ნათქვამია: „არა-ვის კლ-

ეწიფების ხუცესსა ანუ დიაკონსა ანუ კერძო—დიაკონსა თნინიერ წიგნისა განსატყევებელისა თვისა ეპისკოპოსისა წყაღესა მამრეულოსა მისლუად (ა. ხაბ. 97). ამ გვარად -განსატყეველი წიგნი- თანამედროვე ცხოურებაში შეცდომით შემოღებულ ტერმინს შევბუღების მოწმობას უდრის.

„ხაგელი შეუვალობისა“ ისეთ საბუთს ერქვა, რომლითაც შეწყალებული გადას:ხადებისა. ან ჩვეულებრივი სასამართლოსგან განთავისუფლებული იყო ხოლმე. დაეთა აღმაშენებელის ანდერძში სწერია: „ძველთგან ეითა სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათჳს უსაბანჯრობისაჲ სამი ათასისა ცხუარისაჲ მთას და ბარს, აწ მე მომიკსენებია ორი ათასი ცხუარი და ბუთი ათასი ცხუარი... უსაბაჯროდ, უბაჟოდ და უწყინელად დგეს და იარებოდეს“-ო (თ. ეორდანია, შიომღ. საბ. 17., I კვ. 10 და სხვა საბუთებშიაც ბევრგან).

მონღოლთა ბატონობის დროითგან და შემდგომაც ქართული „შეუვალობის“ მაგიერ მონღოლური ტერმინისაგან ნაწარმოები „თარხნობის ხაგელი“ შემოვიდა. ტფილისის სიონის 1540 წ. სიგელში მაგ. ნათქვამია, რომ მთავარეპისკოპოსმა დომენტიმ „პირველ გაშვებულობისა და თარხნობისა სიგელნი მოგუარონა და აწ ჩუენ ჟალად განვაახლეთ“-ო (AKAKH I, ქტი II. 384).

ძველი ქართული ტერმინის მაგიერ მონღოლთა გავლენით, შეუვალობის წიგნის ნაცვლად იხმარებოდა „თარხნობის წიგნი“-ც. მეფე სეიმონი თავის 1582 წ. სიგელში ამბობს: „მოგუადევით კარსა და თარხნობისა წიგნისა წყალობასა გუეაჯენით“-ო (სქს სძვლნი II. 46).

თარხნობის წიგნის მაგიერ ტერმინად „ხითარხნის წიგნი“-ც იხმარებოდა. მაგ. იესე ჯავახიშვილს თავის 1614 წ. საბუთში ნათქვამი აქვს: „მოკითხული ვქენით დამათა და პაპათაგან სითარხნისა წიგნი და ნიშანი გქონდა და აწე ჩუენც დავიწერეთ სითარხნის წიგნი და ნიშანი და გათარხნეთ და განგათავისუფლენით ყოელის ფერიითა“-ო (სქს სძვლნი II. 28). ან კიდევ როინ ჯავახიშვილს 1642 წ. საბუთში უწერია: „ესე წყალობისა და სითარხნისა წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩუენ ჯავახიშვილსა მდივან-ბეგბან პატრონნან როინ შენ აბანოელს ნასყიდასა“-ო (სქს სძვლნი II. 66. იხ. აგრეთვე 1760 სიგ. ისტ. საბ. V. 76).

ამგვარი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად **გარდაწვეტილობის წიგნი**-ს იხმარებოდა. ერეკლე მეფეს **მეფისაჲს წიგნი** გულში სწერია: „ესე... ახატობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ... გაგეითარხნებოხარ“-ო (სქს სძეწნი I, 182-183). ბატუაშვილს პაპუასაჲ თავი. 1773 წ. საბუთში ნათქვამი აქვს: „მე ბატონის ჩემის სოლაღაშვილის ზაზასაგან თავი დავიხსენ და ახატობის წიგნი მოძკა, ვისაჲ გონდა ეყმე“-ო (ისტ. საბ. V, 83). როგორც ამ ამონაწერითგანა ჩანს, ახატობის წიგნი ამ შემთხვევაში გადასახადისაგან კი არა, ყმობისაგან განთავისუფლების დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობით არის ნახმარი.

განთავისუფლების მიმნიჭებელ საბუთს ერქვა **სიგელი გაშვებულობისა**. თითქოს ამ ტერმინს შეუცვლობის სიგელის მსგავსი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ მაინც რაღაც თავისი განსაკუთრებული ელფერი ედვა და ეგონებ გაშვებას ჰქონდა უმთავრესი ყურადღება მოპყრობილი. ეს ტერმინი ტფილისის სიონის 1540 წ. საბუთშია ნახმარი და იქ ნათქვამია: მოავარჯისყო-პოზმა დომენტომ პირველ გაშვებულობისა და თარხნობისა სიგელნი მოგუართუნა და აწ ჩუენ კუალად განვაახლეთ“-ო (AKAKH. I. ქები II, 384).

სასამართლოს განჩინების შემცველ საბუთს **გარდაწვეტილობის წიგნი** ერქმეოდა. ქრისტეფორე კათალიკოზის მიერ 1651 წ. დაწერილს საბუთში, რომელშიაც ნინოწმინდელისა და თვალელთა შორის ატეხილი დავაა გარჩეული, ნათქვამია: „ესე უკნისამდე თამთა გასათაეებელი გარდაწვეტილობისა წიგნი და პირი დაედევით“-ო (ისტ. საბ. IV, 33), ან კიდევ „გარდაწვეტილების წიგნი“, ან **სიგელი**, ან **ფარგანაც** ერქმეოდა: „მოგუადეგით კარსა... გარდაწვეტილების წიგნს გუთაჯენით... მამულზედ თქვენ და რამაზ ისარჩლებოდით. საბრჭოთ და სასამართლოთ დაესხედით... ესე საბოლოოთ გასათაეებელი გარდაწვეტილობის წიგნი და სიგელი უბოძეთ... თქვენსა ასრე დაუმტკიცეთ... რასაჲ (sic) ამა ჩუენგან ნაწუალობევს გარდაწვეტილობის ფარგანში ეწეროს“-ო (როსტომ მეფისა და სასამართლოს განჩინი 1634 წ., სქს სძეწნი II, 231-232).

1782 წ. სასამართლოს განჩინებაში ნათქვამია: „ცოცხელი იოვანე, რომ გაუყო მამულები და მოჯნები ჩაუსხა, ერთი პირი გარდაწვეტილობის წიგნი გოგობედაშვილებს უნდა მისცე და ერთი პირი... აქ უნდა მოიტანო“-ო (ისტ. საბ. V, 103).

„გადაწყვეტილობისა ფაგანა“ ტომიდან 184-27 ს. საბუთშია ნახმარი და იქ წერია: „ქ. მეფეთ-მეფეთა (sic) სუიზონ გიბოძეთ ესე გადაწყვეტილობისა თაონა გიბოძეთ ჩუენ ღთსა (sic) გურიგუნოსანმან მეფეთ-მეფეზან პატრონმან სუიზონ... ამა ჩუენგანით ნაბოძურმან (sic) თარეანამან გააკუდოსა“ (sic) (1596 წ., სქს სძელნი II. 227), მაგრამ საბუთი დაკრულია.

სასამართლოს გადაწყვეტილებას **„განაგნა“** ეწოდებოდა: „დაესხედით ბრკეთ და მოსამართლენი... ბატონის მოურავისა და ჯაფახიშვილის ქაიხოსროს გადასაწყვეტლათ... სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ... დაიწერა **განაგნა ცხე-ო** (1620 წ., სქს სძელნი II. 51-52 და სხ.). როსტომ მეფის ბრძანებით - დაესხედით... სასამართლოდ... სარჩელი ორთავესი გავიგონეთ და გაესინჯეთ... ჩუენ მეფეთ-მეფეს პატრონს იესეს ეს... მეფის ბრძანებით განაჩენი ასრე დაგომტყოცბია. როგორც ამ განაჩენში სწერია“-ო (1646 წ. საბ., სქს სძელნი II. 414).

როდესაც სასამართლო ან თითონ. ან საგანგებოდ წარვლენილი მოხელის საშუალებით სახლერების გასწორებას შეუდგებოდა და განახორციელებდა, საამისო საბუთსაც ადგენდენ ხოლმე. და ასეთ საბუთს **„მოჯნების გასწორების წიგნი“** პრქმეეია. 1782 წ. სასამართლოს თავის განაჩენსა და განკარგულებაში ნათქვამი აქეს: „ყოყისშვილო იოვანე რომ გაუყო მამულები და მოჯნები ჩუსხა, ერთი პირი... მოჯნების გასწორებისა - წიგნი აქ უნდა წამოიღო და მოხასტერში უნდა მისცე“-ო (ისტ. საბ. V, 103).

„შენდობის წიგნი“ თუმცა საბუთებში შედარებით იშვიათი ტომიანია. მაგრამ აღმათ ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს. რათა გან ამგვარი საბუთი თავისდა-თაეად იშვიათი ჰქონდა ყოფილიყო საქართველოში. მე-XVII ს. პირველი ნახევრის ყოფიანისაგან გენათელისათვის მოითმეულ შეწირულობის წიგნში ნათქვამია: ჩუენ მიერ ჩადენილი უოდვისათვის „დიდბანს გვიწერებოდი“ და „საუქატო არ დაგვადებინე“ და „სადამღის ეს ადგილი არ შეგვანწირვინეთ. მანამდის არც ერთს სოლ-ქმარს შენდობის წიგნი არ მოგვუკით“-ო (დას. სქს საბ. I. 57). აქუთგანა ჩანს, რომ შენდობის წიგნი ისეთ საბუთს ეწოდებოდა, რომელშიაც ეპისკოპოსისაგან ბრალდებულისადმი უოდვის შენდობა და პიტევება იყო ხოლმე აღნიშნული და მიწიჭებული.

როდესაც ჩამოვარდნილი უთანხმოების, ან უფროსს **გაყრდნე** წყრომის და მრისხანების დამამშვიდებლად. დამაზავებლად და შუამდგომლად გამოდიოდა ეინზე, თუ ამ საქმეს ის პირი წერილობით აწარმოებდა. ასეთ წერილს, რომელშიაც შუამდგომელი უფროსს და განჩისხებულ მხარეს შესათანხმებლად მიჰმართავს, **„საშუამავლო წიგნი“** ეწოდებოდა. სეხნია ჩხეიძეს მოთხოვნილი აქვს: „გამოევხავნა მეფეს გიორგისათვის ყაენს ბაღათი და მორეისის საშუამავლო წიგნი „შეირიკეთო და მოიწიე მის მართებულად“-ო. (სა შეთა, ქიკ. 24, ლებ. 323).

როცა საშუამავლო მოლაპარაკების დროს მომდურავი შუამდგომელს შემკოდეს მაგიერ თავდებობას მოსთხოვდა ხოლმე პირობის დარღვევისაგან უზრუნველყოფისათვის, ან ვაღის აღების დროს მესხებელიც შუამდგომელს პასუხისმგებლობას მოსთხოვდა. იმ წერილობით საბუთს, რომელშიაც შუამავალი, ან შუამდგომელი სხვის მაგიერ, ან თითონვე საბუთის მიმცემი პასუხისმგებლობას კისრულობდა, **„ხათავდებო წიგნი“** ერქვა.

მაგ. 1527 წ. აბ. ხ. გუბეთის № ტო სიჯულში სწერია: „ესე სათავდებო წიგნი მოგაცხენეთ ჩნ ბეგამან, სარგის, ნოდარ და ამილღაბარ თქნ... ქქს ბასილის“-ო (ქქები II. 371). ხოლო 1682 წ. ეროს ამგვარს საბუთში ნათქვამია: „ესე სათავდებო წიგნი მოგართუი“-ო (ისტ. საბ. IV. 64).

წერილობითი პირობა, რომელშიაც ფიცი და აღთქმა იყო დადებული, გარკვეული წესით შედგენილი, **„საფიცობა წიგნი“-ს** სახელით იყო ცნობილი. საფიცობის წიგნის მიმცემი ხშირად მეფე და დიდებულიც იყო ხოლმე და ამით ის გამდგარ ყმას უწინებლობასა და ბრალუხსენებლობას ჰპირდებოდა. მაგ. თეიმურაზ I ავალიშვილს შემდეგი საბუთი მისცა: „ესე მტკიცე და შეუცვალელებელი საფიცობისა წიგნი გიბოძეთ ჩვენ კელმწიფემან თეიმურაზ... თქვენ ჩვენსა... ნამსახურსა ყმაოა ავალიშვილსა... ასრე და ამა პირსა ზედა“ (1630 33 წ., სქს სტელნი II, 541). „ესე საფიცობისა წიგნი და პირი მოგართუით ჩვენ გერმანოზისშვილთა... თქვენ გოსრამაბისშვილს პაპუნასა ასრე და ამა პირსა ზედა“ (1636 1703 წ., სქს სტელნი I, 128).

ამგვარ საბუთს **„ფიცი და პირობა“-ც** ეწოდება: „ესე ფიცი და პირობა მოგეც მე... თქვენ... ასე და ამა პირსა ზედან“-ო (1675 85 წ., სქს სტელნი II, 208). „ესე ფიცი და პი-

რი გიბოძეთ ჩუენ... მეფეთ-მეფემან პატრონმა სეიმონ თქვენ ბარბაშვილს გოშტასაბს...-ო (1619 29 წ. სქს სძე'ლნი I, 117).

რადიგე დაცდებულ პირობის აღმნუსხველ საბუთს „პაჩიხის წიგნი“ პრქმევიო: „ესე ...პირობისა... წიგნი მოგვცო მე მდივანმა ოთარ ზენ ჩემს ბიძაშვილს მდივანს გივის“-ო (1786 წ., სქს სძე'ლნი III, 567).

ამგეარს: ეე საბუთს, თუ იგი ფიცს-კი არა, არამედ მხოლოდ აღთქმას შეიცაუდა, „აღთქმის წიგნი“ ერქვა. მე-XVI ს. დამდეგს კოსტანტინე მეფეს ერთს თავის სიგელში, რომელშიაც კახეთის საკათალიკოზო საყდარს მის მოტაცებულ მაშულებს უბრუნებს, ნათქვამი აქვს: „ჩუენ ღვთიე გვრჯვნოსანმან მეფეთ-მეფემან კოსტანტინე და ძეთა ჩუენთა დავით. გიორგი და ზაგრატ ესე აღთქმისა წიგნი გადრეთ და მოგახსენეთ“-ო (ქქბი II, 320).

საპატრონუშო დამოკიდებულების პირობის წერილს ან „საპატრონუშო წიგნი“ ეწოდებოდა, ან უფრო ხშირად „ყმობის წიგნი“. მაგ.: „ესე საპატრონუშო წიგნი მოგართუით ჩუენ აღიბანაშვილებმა... თქვენ პატონს ჩუენს პატონს მდივან ზურაბს“- (1679 წ. სქს სძე'ლნი III, 564). „ესე წიგნი ყმობისა მოგართუი მე ბუშელმან ...თქვენ თბილელ მთავარუკის-კობოხსა“-ო (1619 წ. ტფ. სიონის სიგ., ისტ. საბ. IV, 11).

იმ საბუთს-კი, რომელშიაც ყმისაგან თავის დახსნის გარემოება და საყმოდ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება იყო აღნუსხულ-დადასტურებული. „თავდახსნალობის ხაგედა“ ერქვა. პაპა პაპუნაშვილს თავის :737 წ. საბუთში მაგ. ნათქვამი აქვს: მე ჟოვალმაჟაკისშვილის ყმა ეოვაე. ჩუენ პატონუშობა აღარ მოგვიცდა, აედგე და თავი დაეიხსენ. რაჟიაც გული შეეოჯერე, უკლებლიე მივეც. ახლა აკლე ჩემი თავი და სიონთა მღვთისმშობელს შემოვწირე და თავედახსნილობის სიგელიც მოქვენ მოგართუი“-ო (ისტ. საბ. V, 51) იმის დასაბტკიცებლად, რომ მართლა თავდახსნილი ყმა, ბლიაძე დავითუნაშვილს თეოდორესაც ტფილისის სიონის 1772 წ. სიგელში აღნიშნული აქვს: „პატონმა ჩემმა შიომ მე ობოლი და პატარა გამზარდა და თავის სიყდილის დღეს თავისოს სულის გამოსაცხსნელად ახატი მყო და განმათავისუფლა და პაპისაგან მიუკემული ნასყიდობის სიგელი მევე მომცა და მითხრა განმითავისუფლებიხარ, მოდავე არაეინა გყავსო... ასე განთავისუფლებული რომ შევიქმენ... მოველ ჩემის ნება-წადილო და ჩემის მონღომებით ჩემი თავი შენს წმიდასა და დიდებულს ეკლესიას

შემოვსწირუ და ჩემი თავდაკსნილობის წიგნიცა... (ისტ. საბ. V, 82).

საბუთს, რომელშიც პირობის წერილის სახით გადასახადის ჩაოდენობა იყო ხოლმე დადებული, „დაკეთადობის წიგნი“ ეწოდებოდა. მაგ. 1454 წ. სიგელში ნათქვამია: „ესე...სამკუილორდსამამულე წიგნიც სიგელიც ულუხისა დაკეთადობისა დაგიწერეთ“ (ისტ. საბ. II, 33).

ქალიშვილს რომ გათხოვებისთანავე მზითვად ქონებას გაატანდენ, ამ ქონების აღმნიშვნელსა და პირობის შემცველ საბუთს „მზითვის წიგნი“ ეწოდებოდა. მაგ. ჯაფარიშვილ-გამრეკელს თავის ქალისათვის 1597 წ. მოცემული მზითვის შესახებ საბუთში ნათქვამი აქვს: „ესე მითვისა წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ“ (ისტ. საბ. II, 49).

საბუთს, რომელშიც ვისიმე შეილად აყუანის გარემოება და პირობები იყო ხოლმე აღნიშნული, „ნაშვილეობის წიგნი“ ანუ სიგელი ეწოდებოდა. ერის 1460 წ. საბუთში მაგ. ნათქვამია: „ურდოელასშვილისა ნაშვილეობა იყუენით და ნაშვილეობისა (sic) ნიშანიცა გქონდა... ურდოელასშვილისაგან ნაშვილეობისა სიგელი და ნიშანი თქვენ გქონდა“ (ისტ. საბ. III, 35).

ადამიანის ნებისყოფის გამობატულებას, რომელიც მისი სიკვდილის შემდგომ უნდა განხორციელებულიყო, „ანდერძი“ ერქვა. ხოლო თვით ამ ნებისყოფის შემცველ საბუთს ან „ანდერძის წიგნი“, ან მარტივად „ანდერძი“ ეწოდებოდა. ჯერჯერობით უძველესი ანდერძია დავით აღმაშენებლის 1123 წ. შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული, რომელშიც ეს ტერმინი ნახვარია კიდევ: თუ „ან შემდგომად ამისა... ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურის“, შერისხოს ღმერთმან (თ. ეოზ. შიომღ. საბ. 19, ს. კაკ. ანდერძი დ. თ. აღმ. 15). მეორე ანდერძი ამავე მეფისაა, მაგრამ გელათის მონასტრისადმი ნაწყალობეუა და ისედაც საყურადღებოა. ჩვეულებრივ ანდერძი მოსალოდნელი სიკვდილის წინ, ან ავადმყოფობისა და ან ომში გამგზავრებისას იწებოდა ხოლმე. მაგ. შიომღ. მონასტრისადმი მოცემულ ანდერძში დავით აღმაშენებელს ნათქვამი აქვს: „მე დავითს მიწეის ეამსა ჩემისა შარქანსა ზედა განმართვისა... და ჩემი აწენებული ეკლესიის სანახავად და მოსალოცავად მისულს შიომღვიმეში განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწეო“ (თ. ეოზ. აღმ. 15, ს. კაკ. 5).

მძიმე ავადმყოფობის დროს. როდესაც ანდერძის ^{განცხადება} თითონ წერა აღარ ძალუძდა, შეეძლო თავისი ^{განცხადება} თანდასწრებით ნათქვამი მოძღვრის პირით გადაეცა ანდერძად. ასეა მაგ. დავით აღმაშენებლის უკანასკნელი გელათის მონასტრის შესახებ ანდერძი წარმომდგარს. სადაც, თავშივე ნათქვამია: „გიბძანებს და მოგაკესენებს მეფეთა-მეფე დავით დღეჲა შინა სიკუდილისა და სოფლით განსელისა მისისათა ჩემ მიერ უნდოჲსა და ულორისა მლოცუელისა მათისა ბერისა პირითა“-ო (ქუჩი II. 51).

„ანდერძის“ გარდა, როგორც უკვე აღნიშნული იყო. ტერმინად „ანდერძის წიგნი“-ს იხმარებოდა. დავით ჯაეახიშვილს თავის 1768 წ. სიგელში ნათქვამი აქვს მაგ.: „მეცოდნეოლი დავით მდივანი ჯაეახიშვილი ჰეშმარიტებით. ესწერ ამ ანდერძის წიგნს“-ო (ისტ. საბ. V. 80).

გიორგი ლალიძის 1792 წ. ანდერძის ბოლოშიც სწერია: „მემათ სახლში აღზრდილმან... გიორგი მღვდელმან ეს ანდერძის წიგნი ასლიდამ უმეტნაყლებოდ და თანასწორად გადმოესწერე აგვისტოსა თჳს ქუჩა“-ის ქს სძე“ლნი I. 296).

როდესაც ადამიანი ავადმყოფობას, ან ომს გადაურჩებოდა და ლაშქრობითგან შინ ჯანმრთელი დაბრუნდებოდა, მერმე, ზოგჯერ კარგახნის შემდგომაც, მას წინანდელის მაგიერ შეეძლო ახალი ანდერძი დაეწერა. რომელიც პირველს რასაკვირველია გაცუდებულად მდიოდა. ამის გამო ერთისა და იმავე პირობის ერთისა და იმავე საგნის შესახებ შეიძლება „უახლესი ანდერძი“-ს უთქვოდ იყო. რომელიც „უმჯობესად“ იყო მიჩნეული და უკვე მნიშვნელობას მოკლებული უზუღესიც უთვოდი-ყო. დავით აღმაშენებელს მაგ. შიომღვიმის ანდერძშივე ნათქვამი აქვს: ჩემ მიერ ეს დაწერილი ანდერძი სრული არ არის და „დაკლებული სისწრაფისაჲ არს“-ო. ხოლო „თუ ინემოს ღწ ჩემი შემოქცევაჲ“ შაოუანის ლაშქრობითგან, ეს ანდერძი „უმჯობესად შეიცუალოს“-ო ის. კაც. 51. ეს აზრივე მეთეს ბოლოშიაც გამოვრებული აქვს: „უუუუუ ეამი მომცეს“-ი. მაშინ „სხუაჲ უახლესი ანდერძი დაეწერო“-ო (გვ. 16).

როდესაც ეინმე თითონვე შესწირავდა თავის თავს ეკლესიას, ან მონასტერს, მაშინ ამის აღმნუსხველ დამადასტურებელ საბუთს „თავის შემოწირულობის წიგნი და სიგელი“ „თავშემოწირულობის წიგნი“, „თავშემოწირულობის წიგნი და სიგელი“ ჰქმნებოდა. თეოდორე ბლიაძეს 1772 წ. ტფილ. სიონის სიგელში მაგ. უწერია: „ესე... თავის შე-

მოწირულობის წიგნი და სიგელი მოგართვი შენ... (ყოფნა)
 ღმრთისა მშობელსა... მე ბლიაძის დათუნაშვილმა თვედს... (1544)
 რომე... მოველ ჩემის ნება-წადილითა და... ჩემი თავი შენს
 წმიდასა და დიდებულს ეკლესიას შემოესწიო-ო (ისტ.
 საზ. V. 82. იხ. აგრეთვე V. 91). ამგვარადვე ათანელ ჩილინდ-
 რიშვილი ნათლისმცემლის მონასტრის 1778 წ. სიგელში ამბობს:
 ესე თავშემოწირულობის წიგნი მოგართვი მე ჩილინ-
 დროშვილმა ათანელმა ოქვენ ნათლისმცემლის არხიმანდრიტს უფალს
 ეფთხიშის ასე რომე... მოველ ჩემის ნებით წყალობის ყმათ და
 წმიდის ნათლისმცემლის მონასტერს თავი შემოესწი-
 რე-ო (ოქვე V. 91-92). გოგია შაბათაშვილსაც იმავე მონას-
 ტრის 1776 წ. სიგელში ნათქვამი აქვს: -ესე... თავშემწირულო-
 ბის წიგნი და სიგელი მოგართვი... ასე რომე... შეეწირე თავი
 ჩემი... წმიდასა ნათლისმცემლისა მონასტერსა-ო (ოქვე V. 89).

ძმობა-ერთობის პირობათა აღმწერსხეულ საბუთს
 „**ძმობის წიგნი**“. ან „**საძმო და ერთობის წიგნი**“. ან კიდევ
 „**შეყრადლობის წიგნი**“ ერქვა. მაგ. -ესე ძმობის წიგნი მოგარ-
 თვით თქვენმა ძმისწულებმა... თქვენ ბიძა ჩვენს... ასრე და ამა პირსა
 ზედა: გაურილნი ვიყავით და... ისევე ძმათ შევიყარენით-ო (1717 წ.
 საბ.. სქს სძვლნი I. 445). -ესე საძმო და ერთობის წიგნი
 მოგე მე გოსტაშაბიშვილმა ...ეოასტომ... შენ ჩენს ბიძაშვილს ხუ-
 რაბს... პაპა ჩემი და მამა შენი... გაურილიყვნენ და ახლა ჩვენ ერთ-
 მანერთის სიყვარულით მოვიინდომეთ ძმათ შეყრა და
 ერთობა ყოფნა-ო (სქს სძვლნი I. 102-103).

ამ უკანასკნელ საბუთითგანვე ჩანს, რომ ასეთი საბუთებისა-
 თვის მოყვანილ სახელებს გარდა სხვა უფრო შესაფერისი ტერმინიც
 არსებობდა. იგივე გოსტაშაბიშვილი ამბობს: -პაპა ჩემი და მამა შე-
 ნი... გაურილიყვნენ და მას უკან ძმობისა და საძმოსკაცობის სი-
 ყვარულით ძმათ შეყრილიყვენენ... მაშინდელი იმათი შე-
 ყრილობის წიგნი დღესაც არის-ო (სქს სძვლნი I. 102-103).

მაშასადამე ამგვარ საბუთს უფრო ნიშანდობლ-
 ივი სახელიც აქონდა და „**შეყრადლობის წიგნი**“-ც ეწოდე-
 ბოდა. 1779 წ. საბუთის ბოლოს გოგია ბეჟანისძე თუმანიშვილიც
 ამბობს: -მე თუმანიშვილს ბეჟანისშვილს გოგიას ამ ყურთბუ-
 ლის პაპის ჩემისაგან მოცემულის შეყრილობის წიგნის უახული
 მაქვს-ო (სქს სძვლნი III. 506).

ურთიერთი დიხმარების შესახებ პირობის წე-
 რილს „**ამხანაგობის წიგნი**“ ეწოდებოდა: მაგ. -ესე... საძმონოს

საქმეზედ პირობისა და ამხანაგობის წიგნი მოგვითხრობს. დაწვრილ ვანმა ოთარ შენ ჩემს ბიძაშვილს მდივანს გივის... (1786 წ. წყ. სტ. სტენი III, 567).

სათვასით შეძენილობის საბუთს „ნასყიდობის წიგნი“ ან სიგელი ერქვა. მაგ. 1589 წ. სიგელში სწერია: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგაქსენეთ... დაიწერა სიგელი ესე...“ (ისტ. საბ. III, 83, 84). „ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგაოთვიოთ...“ (ესე ნასყიდობის წიგნი მოგაოთვიოთ... (ისტ. საბ. IV, 37 1662 წ. საბ., გვ. 45 1667 წ. საბ. და გვ. 44 1669 წ. საბ.). „ოთარ გერმანოზიშვილს თავის წილი მამული... დაიხდას პაატა გერმანოზიშვილისათვის... მიეყიდნა... ნასყიდობის სიგელი... პაატას ქონდა“ (თეიმურაზ II-ის 1752 წ. განჩინება, სქს სტენი I, 394).

როდესაც ქონება შეძენილი იყო ხოლმე სამავთირო ქონების მიცემითვე. ამგვარი ნაქმარის აღმწესხველ საბუთს „გაცუდილობის წიგნი“ ეწოდებოდა. მაგ. არეშიშვილი 1638 წ. სიგელში ამბობს: „ესე გარდაწყვეტილობისა და გაცუდილობისა წიგნი მოგართუი მე არეშიშვილმა აღიხან... თქვენ ბარათაშვილს ბატონს გერმანოზს... (მიწები) და ამ როგად გავსცვალეთ...“ (სქს სტენი I, 482-483). მანგლელი ეპისკოპოსი ივანე 1718 წ. საბუთში სწერს: „ესე... უცვალბელო ვენაკის გაცუდილობის სიგელი მოგვითხრობს ჩვენ მანგლელ ეპისკოპოსმან ოსებ ყოფილმან იოვანემ თქვენ ჯავახიშვილს ბატონს ფარეშებს...“ (სქს სტენი II, 306).

როცა რომელიმე პირი ეკლესია-მონასტერს ან სხვა დაწესებულებას მამულს, უძრავს, ან მოძრავ ქონებას მისცემდა, ამის შესახები ცნობისა და ნებისყოფის შემცველ საბუთს „შემოწარულობის წიგნი“ ან ზოგჯერ „შემოწარულობის წიგნი“ ეწოდებოდა. მაგ. „დაიწერა ესე შემოწარულობისა წიგნი და სიგელი...“ (1504 წ., ისტ. საბ. II, 25. იხ. აგრეთვე 1609 და 1635 წ.წ. სიგელები, ისტ. საბ. IV, 6 და 21). ან კიდევ: „დაიწერა... ნოჯიყთა შემოწარულობისა წიგნი და სიგელი...“ (1465 წ. ისტ. საბ. II, 18. იხილეთ აგრეთვე იქვე 1508 წ. სიგ. ისტ. საბ. II, 26 და რუისის 1609 წ., 1618 და 1649 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 5, 10 და 31).

„სადაპო წიგნი“ ეწოდებოდა ისეთ საბუთს, რომელშიაც, რომელიმე შემწირველისა, თუ მონასტრის ქველმოქმედისათვის აღაპი იყო ხოლმე დაწესებუ-

ლი. -ესე უკუნისამდე გამოგასათავებელი სააღაპროსა და ზედ-
გადრეო და მოგახსენეთ ჩვენ ქულივისძესა მათე და მანამან...
ყოფიან ბადრიამან... ოქლენ პატრონსა შაყუბათს... ავიღეთ სა-
აღაპრე ოქლენგან... და შეგიკუთეთეთა ქვათავეს ვლაქერნისა
ღმთის შმობლისა წინა მისითა პანაშუიდიოთა კარგადებულსა...
კარდავიკდიდეთ... (1492 წ. ქვათავეის სიგ. ისტ. სპ. II.
24). ეს ძეგლი ნამდვილი და წესიერად შედგენილი სააღაპრო წიგნი
აო პრის. ნამდვილი სააღაპრო წიგნის პირი შეტანილია ათონის აღა-
პრის კრებულში.

ტერმინად იხმარებოდა „ოქმის“-ც. იესე ოსეს შვილს თავის
თავგადასავალში სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ როდესაც უად-
გილოდ ყოფილა და სამსახური არ ჰქონია, კუძო მუშაობით „თითო-
ორჯს შაურს ეიშოვიდო: ან სიგელს დაუწერდი ეისმე, ან
ოქმისა“-ო (გვ. 46). აქ მაშასადამე „ოქმი“ კერძო პირთა-
თვის დაწერილ საბუთს ეწოდება. მაეე ცნობითგან
ცხადი ხდება, რომ ოქმი სხვა იყო და სიგელი. თუნ-
დაც კერძო პირთათვის შედგენილი, კიდევ სულ სხვა
საბუთი ყოფილა.

მაგრამ ოქმი მარტო კერძო პირისა და პირთა-
თვის შედგენილ საბუთს არ ეწოდებოდა, არამედ მთა-
ერობისასაც. დასტურლამალში მაგ. დაწესებულია მდივნებისათვის
სარგო „იჯარაზედ საწოგნო ოქმისა“ და აგრეთვე „ვილანისა.
ფუშთუქუნისა, სუნისა, ზაოფობისა, ელიაღისა“ გაყუმის საბუთზე.
„ამათს ოქმზედ საწოგნო“-ო (დასტურ. 50). მურდოსათვის და-
წესებულ სარგოთა შორის იხსენიება „ქალაქის ბაეის ოქმზედ
ოორმეტი მინალთუნი“ (იქვე 51). ამ შემთხვევებში ოქმი
ჩნიშნავს მეფის იმ ბრძანებას, რომელიც საჯაროდ
გამოიქა. და რომლითაც ან ქალაქის ბაეის წესრიგი
განისაზღერა და ჩაქბარდა მოხელეს, ანა და თანამ-
დებობა ეწყალობა. ეს სიტყვა არაბ. „ḥukm“-ია.

ვალის აღებისა და პირობების აღმნიშვნელ სა-
ბუთს „თამასუქი“ ეწოდებოდა, სულერთა ეადიანი იყო, თუ
უყადო, გირაოთი, თუ უგირაოდ. მაგ. თეიმურაზ II 1752 წ. გა-
ნიჩნებაში ნათქვამია: „ოთარ გერმანოზიშვილს თავის წილი მამული
მარაბდას პაატა გერმანოზიშვილისათვის... მიეყიდნა, მერმე ოსმალო-
ბას მამული წაერთმიათ და პაატა მისულიყო ოთარისათვის ისევ თავ-
ვის თეთრის თხოვნა დაეწყო, ოთარს იმ ხელათ თეთრი ვერ უშო-
ენია და თამასუქი მიეცა პაატასთვის“ ისქან სტუნი I, 394).

„ამ თამასუქის თესრი თაენი და სარგებელი სრულად...“ (1782 წ., იქვე I. 158).

„ავიღე მე ხითარაანთ ისაიას დედამა შენ მეთურნე არუთინასაგან თორმეტი მინალთენი ახალი თეთრი. მოგეცი ამის გირაოთ ჩემი გარეთი ერთი ოთახი, სანამდის შენი თეთრი ჩემს კელთ იყოს. არც მე ოთახის ქირა ვითხოვო და არც შენ თეთრის სარგებელი ითხოვო“-ო. შემდეგ ბოლოში სწერია: „ამ თამასუქის თანხა მემდიანმა გარჯასაჲმ მიუე“-ო (1745 წ. საბ., სქს სქლნი III. 422). „ოქქენი თეთრი მემართა, რაც ძველის თამასუქის მამა თქვენს და თქვენ მოგცემოდა... გასუდებულია“-ო (1688 წ. საბ., სქს სქლნი III. 568).

„ავიღევეით თქვენ აბაზაძის ბუჯან მდივნისაგან... ოთხი თუმანი თეთრი, რაც ხანს კელთ დაეოს. თვეში თუმანის თავს აბაზი სარგებელია, ამის გირაოდ დაგიდევით (ეს და ესა)... ამის სარგებელში ეს გირაოები უნდა გეჭიროს და მოიკმაო“-ო. „დაიწერა თამასუქი ესე“-ო (1727 წ. საბ., სქს სქლნი III. 339).

იესე იესეს შვილიც თავის თავგადასაყალში მოგვიხმობს: მოუალე „სარგებელს უკელს თვეს გვართმეუდა და ან თამასუქზედ თავნად გვაწერდა“-ო (გვ. 9).

თამასუქი მე-XVIII ს. შემოსული უცხო ტერმინია. არაბ. كاس ძველად ქართულში ამგვარი საბუთის აღსანიშნავად „ვადის წიგნი“ იხმარებოდა.

„ვადის გარდაწვევადობის წიგნი“- ისეთ საბუთს ეწოდებოდა, რომელ შიაც ვადის გადახდილობის გარეწოება იყო აღნუსხვილი. მაგ.: იესე გარდაწვევადობის წიგნი მოგეცე მე ეშიყალასბაშიშვილმან სოლომონ შენ ჯავახიშვილს სოლომონს ასე, რომე ჩემი ვალი გემართა... გამოგართვი. გადაგიწვევებია. შენთან საქმე აღარ მაქვს. თუ რამ სხვა თამასუქი გამოწდეს, ამან გაამტყუნოს“-ო (1712 წ., სქს სქლნი III. 245).

§ 2. კერძო ნახაათის სამეთ-წერადები.

თხოვნის შემკველ წერილს „წიგნი გედრებახა“- ეწოდებოდა. გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, როდესაც ბიზანტიის დედოფალს ეარდა სკლიაროსი განუდგა და დაეთქურაპალატისაგან დახმარების გარდა სხვის არათრის იმედი აღარ

ქონდათ, ჯარის მოშვებების სათხოვნელად „წიგნებზე“ (გვ. 111).
ბისა და დაწერეს კრაპალატსა თანა“-ო (ს. 111 და გვ. 111).

ბოლო ვისიზე ამბავის შესატყობად და შესატყობინებლად დაწერილს „მოკითხვის წიგნი“ ერქვა. იესე ოსესშვილს თავის თავგადასავალში ნათქვამი აქვს: ჩემი მდივნობის დროს „ყოველი წიგნი ჩემგან იწერებოდა მოკითხვისა, თუ სიგელი“-ო (გვ. 21).

სიყვარულის გამომჟღავნებელ წერილს „მოგწერობის წიგნი“ ერქვა. შოთა რუსთველს მაგ. ნათქვამი აქვს: „დაწერა წიგნი საბრალო მის ყმის მისართბეველი მისისა მოგწერობისა... უსტარი შესანახადი, არ სულად დასახეველი“ (ყეფხისტყ. ს. კაქ. 145 § 1038).

ვისიზე სტუმრად დაპატივების შემცველ წერილს „ხაწიფილი წიგნი“, ან „წიფილის წიგნი“ ეწოდებოდა. შოთა ამბობს: „მას ღამესა საწუველი რამიართვეს წიგნი უმასა“ (ყეფხისტყ. კაქ. 146 § 1051).

რამიზე შემთხვეული უბედურების გამო თანაგრძნობის გამოცხადებულ წერილს ან „გლოვის წიგნი“ ეწოდებოდა, ან „სამძიმრის წიგნი“. პირველი ტერმინი უფრო უძველეს ხანაში გვხვდება, მეორე მერმინდელში. წანინოს შატერდოსელს კაში ნათქვამია: „ოდეს იგი მეუობდა ქეროდე და მოგუეს მა აქა ვითარმუდ სპარსთა იერუსალჴში დაიპყრესო, გლოვისა წიგნი მოეწერა ყოველთა ურიათა მომართ ქართლისათა“ (11) მ. 11, 761). იესე ოსესშვილი კიდევ მოგვითხრობს, გაჭირების დროს თავს იმით ვიჩინდი, რომ „ზოგს სამძიმრის წიგნი დაეწერე, იმითი ვაძმე“ და ფულს ვიღებდიო (თავგ. 41).

აქა-იქ ჩვენ ქართული ტერმინების მაგიერ გამოწკლისის სახით უცხო ენებიდან შემოიღებული ტერმინებიც გვხვდება. სათითაოდ ასეთი მაგალითების მოყვანა ამ გამოკვლევაში, რომელიც მხოლოდ სრულიადი საქართულოს მეფეთა სიგელთმცოდნეობას ეხება, შეუძლებელია, სანიმუშოდ-კი შემდეგი მაგალითიც გამოდგება. ჩუქლებრივი ტერმინის „პირობის წიგნის“ მაგიერ დარეჯან დედოფლისაგან 1796 წ. სამღებროს მოიჯარადრე იასე იასეშვილისათვის მიუცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: „ესე შართლამის წიგნი გიბოძეთ“-ო (ს. ქს ს. ელნი III. 246).

თუ აქ კორექტურული, ან დაშვრელის შეცდომა არ არის, მაშინ
 დედანში „შარტნამის წიგნი“ არ ეწერა, ზემოთ მოცემული
 დამაბინჯებელს სპარსულ **هشتم** „შარტნამა“-თან გვაქვს
 საკმე, რაც სპარსულად მართლაც პირობის წიგნსა
 ნიშნავს.